სარეგისტრაციო კოდი
010.260.020.35.124.000.554

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №21

2010 წლის 20 აგვისტო

ქ. ბაღდათი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის სამხედრო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად,

1.დამტკიცდეს ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის სამხედრო სამსახურის დებულება (დანართი №1 თან ერთვის).

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 20 დეკემბრის №56 დადგენილება „ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის სამხედრო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“.

3. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს რ. გეწაძეს.

4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გ. რობაქიძე

დანართი №1

ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის სამხედრო სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო სამსახური(შემდგომში-სამსახური) არის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე შექმნილი გამგეობის სტრუქტურული ერთეული, რომელიც ბაღდათის მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას, მობილიზაციისა და სამხედრო ძალების რეზერვთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას.

2. სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, “სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონებისა და მათგან გამომდინარე სხვა ნორმატიული აქტების, აგრეთვე, საკრებულოს, საკრებულოს თავმჯდომარისა და გამგებლის სამართლებრივი აქტების საფუძველზე დადგენილი წესის შესაბამისად.

3. სამსახური ანგარიშვალდებულია გამგებლის წინაშე.

4. სამსახურის კომპეტენცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება სამსახურის დებულებით, რომელსაც „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, ამტკიცებს საკრებულო საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით.

5. სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს კანონიერების, საჯაროობის, საქართველოს მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და თავისუფლების დაცვით, მოსახლეობის წინაშე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა ანგარიშვალდებულების, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების, თავის საქმიანობაში მონაწილეობის პრინციპის დაცვით.

6. სამსახურის საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

7. სამსახური ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტით.

8. სამსახურის იურიდიული მისამართია ქ. ბაღდათი, რუსთაველის ქ. №48.

9. სამსახურს აქვს შტამპი, ბეჭედი, დადგენილი ფორმის სახელმწიფო გერბის გამოსახულებით, ბლანკი სამსახურის სახელწოდების აღნიშვნით და სხვა საჭირო რეკვიზიტები.

მუხლი 2. სამსახურის ძირითადი ფუნქციები

1. სამსახურის ძირითადი ფუნქციაა მის კომპეტენციაში მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით თვითმმართველი ერთეულის – ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელების ხელშეწყობა.

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა, სამხედრო სამსახურში გაწვევის ორგანიზება, ახალგაზრდებთან პატრიოტულ-აღმზრდელობითი მუშაობა, სამობილიზაციო რესურსების აღრიცხვის და სამსახურში გაწვევის ორგანიზება.

3. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების მიერ „სამხედრო ვალდებულებებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების შესრულების ორგანიზება.

4. ჭაბუკებისა და წვევამდელი ასაკის მოქალაქეთა აღრიცხვა კანონით დადგენილი წესით.

5. მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში გასაწვევად მოსამზადებელი სამუშაოების შესრულება.

6. სავალდებულო სამხედრო სამსახურში გამწვევი კომისიის მუშაობის ორგანიზება და გაწვეულთა შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტში წარდგენა.

7. სასწავლო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიერ „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“საქართველოს კანონისა და „მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვის შესახებ“დებულების მოთხოვნების დაცვის მიზნით, ღონისძიებების გატარება კომპეტენციის ფარგლებში.

8. სამობილიზაციო მოთხოვნათა დაკმაყოფილება ადგილობრივი რესურსის ხარჯზე.

9. თეორიული მეცადინეობების მოწყობა გაძლიერების აპარატთან.

10. ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების აღრიცხვა და მათთან მუშაობის ორგანიზება.

11. სასამართლოსა და სამართალდამცავი ორგანოებისათვის მასალების გადაცემა სამხედრო აღრიცხვიანობისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის წესების დამრღვევი მოქალაქეების შესახებ.

12. საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით განსაზღვრული სხვა უფლება-მოვალეობების შესრულება.

13. მონაწილეობის მიღება სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებაში, კომპეტენციის ფარგლებში.

14. მიღებული კორესპონდენციის განხილვა და შესწავლა.

15. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საკრებულოს თავმჯდომარისა და გამგეობის შესაბამისი თანამდებობის პირების დავალებების შესრულება.

მუხლი 3. სამსახურის საქმიანობის ორგანიზება და მართვა

1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი.

2. სამსახურის სტრუქტურას საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო.

3. სამსახურის თანამშრომელთა სამსახურის შესრულება განისაზღვრება ფუნქციონალური მოვალეობებით, რომელსაც ანაწილებს და ამტკიცებს სამსახურის უფროსი.

მუხლი 4. სამსახურის სტრუქტურა

სამსახურის სტრუქტურა შედგება სამსახურის უფროსისა და დარგის სპეციალისტებისაგან.

მუხლი 5. სამხედრო სამსახურის ძირითადი უფლებები და მოვალეობები

1. „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და “სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე აწარმოოს გადაცემა სამხედრო აღრიცხვიანობისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის წესების დამრღვევი მოქალაქეების შესახებ, კანონმდებლობით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში მასალები გადასცეს სამართალდამცავ ორგანოებს.

2. სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე გამართოს თათბირები და განახორციელოს სხვა ორგანიზაციული ღონისძიებები.

3. განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით და სამსახურის დებულებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებანი.

მუხლი 6. სამსახურის უფროსი

1. სამსახურის საქმიანობას ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი.

2. სამსახურის უფროსი წარმართავს სამსახურის საქმიანობას და პასუხისმგებელია სამსახურის მიერ სამსახურისათვის დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სხდომებზე წარადგენს დასამტკიცებლად მობილიზაციის, აღრიცხვიანობისა და სამხედრო სამსახურის გაწვევის საკითხებზე დადგენილ პროექტს.

4. ორგანიზებას უწევს სამობილიზაციო რესურსის სრულყოფილ და ხარისხიან აღრიცხვას , მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში გაწვევას.

5. დადგენილი ფორმის ანგარიშების და მოხსენებების ხარისხიან და დროულ წარდგენას შესაბამის ორგანოში.

6. სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში გასცემს ტექნიკურ რეკომენდაციებს, მითითებებს სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

7. დადგენილი წესით წარადგენს წინადადებებს სამსახურის საშტატო ნუსხისა და ხარჯთა ნუსხაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.

მუხლი 7. სამხედრო სამსახურის თანამშრომლები მოვალენი არიან

1. აწარმოონ დადგენილი წესით სამობილიზაციო რესურსების აღრიცხვა, გაწვევა და ტექნიკის მიწოდება შეიარაღებულ ძალებში მშვიდობიანობისა და მობილიზაციის დროს იმ მოცულობითა და ვადებში, რომელიც განსაზღვრულია დავალებით.

2. დროულად და ხარისხიანად შეადგინონ დადგენილი ფორმის ანგარიშები და მოხსენებები შესაბამის ორგანოებში წარსადგენად.

3. მოაწყონ სამობილიზაციო სწავლებები.

4. შეასრულოს სამსახურის უფროსის დავალებები სამსახურებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

5. გასაწვევი პუნქტის ნორმალური მუშაობის უზრუნველსაყოფად პირველადი სამხედრო აღრიცხვისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის ღონისძიებათა განსახორციელებლად ადგილობრივი თვითმმართველობის ხელძღვანელობა სამხედრო სამსახურს მისი განცხადების საფუძველზე უზრუნველყოფს სამედიცინო და ტექნიკური პერსონალით.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

სამსახურის რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია ან დებულებაში ცვლილებების შეტანა ხდება კანონით დადგენილი წესით.